სართაშორისო კონფერენცია ელექტრონულ ჯანდაცვასა და ბიოინჟინერიაში „EHB 2015“

19-21 ნოემბერს რუმინეთის ქ. იასიში გაიმართა სართაშორისო კონფერენცია ელექტრონულ ჯანდაცვასა და ბიოინჟინერიაში „EHB 2015“. კონფერენციაში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტიდან მონაწილეობა მიიღო ბიოსამედიცინო ინჟინერიის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, პროფ. ირინა გოცირიძემ. პროფესორმა გოცირიძემ კონფერენციაზე წარდგენილი მოხსენება მიუძღვნა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიოსამედიცინო ინჟინერიის დეპარტამენტში შექმნილ ოფთალმოლოგიურ ხელსაწყოს „კომპიუტერული პერიმეტრიის სისტემას“.

კონფერენციის ფარგლებში, ასევე, გაიმართა სამუშაო შეხვედრები „TEMPUS IV, BME-ENA“ ტემპუსის პროექტთან დაკავშირებით, სადაც პროფ. გოცირიძემ წარადგინა პროექტის ფარგლებში განხორციელებული ახალი, ერთობლივი (თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი) სამაგისტრო პროგრამა „ბიოსამედიცინო ინჟინერია“ და მისი განვითარების პერსპექტივები.

რუმინეთის აკადემიის ვიცე-პრეზიდენტთან, აკადემიკოს ბოგდან სიმონესკუსთან მაკრომოლეკულურ ქიმიის ინსტიტუტში შეხვედრისას დაისახა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან ურთიერთთანამშრომლობის გეგმები ერთობლივი სადოქტორი პროგრამების განხორციელების და დოქტორანტების სამეცნიერო სტაჟირებისთვის.